

„ქციის ხრამი“ და მის გამოქვაბულ კომპლექსებში აღმოჩენილი  
შუა საუკუნეების საყოფაცხოვრებო ნივთები

თამარ შენგელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის  
დეკანს ბატონ გიორგი გვალას  
ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის  
მაგისტრანტის თამარ შენგელიას

### განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ შენგელია

2018

## აბსტრაქტი

ქვემო ქართლში, მდ. ხრამის (ქცია) ხეობის კომპლექსებში XX ს–ის ბოლო 2 ათეული წლის განმავლობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციის მიერ გამოვლინდა უამრავი კლდეში ნაკვეთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი: ნახიდურის და თავგურგალას ქვაბთა კომპლექსები, მუგუთის ქვაბები, სამშვილდის მიდამოს ქვაბთა კომპლექსები, ზურტაკეტის ხეობის კლდის ძეგლები, მდ.მაშავერას ხეობის კლდის ძეგლები და სხვ. ამათგან, რამოდენიმე კომპლექსის გამოქვაბულებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად, გარდა დიდი რაოდენობის თიხის ნაირგვარი ნაკეთობებისა, აღმოჩნდა ეთნოგრაფიული ტიპის საყოფაცხოვრებო ნივთების საინტერესო კოლექციები. მათი უმეტესი ნაწილი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ დონეზე რამდენადმე შესწავლილია, თუმცა, სამომავლოდ, საჭიროა ეთნოგრაფიული დასკვნებითაც განმტკიცდეს მათი დანიშნულება და ფუნქცია.

ნაშრომში წარმოდგენილი მაქვს ამ კოლექციების შემადგენელი, გამოუქვეყნებელი თუ გამოქვეყნებული საყოფაცხოვრებო ნივთების ტიპოლოგიური აღწერა და დათარიღება ამავე ფენებში აღმოჩენილი კერამიკული ნაკეთობებისა და მონეტების მიხედვით.

ნაშრომის დასაწყისში წარმოდგენილია ქციის ხრამისა და მის ხეობაში დასახლებული პუნქტების ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება, შემორჩენილი წყაროების მიხედვით. დანარჩენ თავებში ვეხები ნახიდურისა და მუგუთის ქვაბების არქეოლოგიური კვლევის შედეგებს .

მოცემული ნივთიერი მასალა, რომლებიც აღმოჩნდა აღნიშულ კომპლექსებში, განვითარებულიდან გვიან შუა საუკუნეებამდე მერყეობს და მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ მონაპოვარს წარმოადგენს. სამომავლოდ ვაპირებ, რომ მაქსიმალური პარალელები გავავლო სხვა ქართულ ანალოგიურ ნივთებთან და დავადგინო მათი ზუსტი დანიშნულება.

*ძირითადი საძიებო სიტყვები: ქვემო ქართლი, კლდის ძეგლები, ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური მასალა, საყოფაცხოვრებო ნივთები, ნახიდურის მიდამოები, მუგუთის ქვაბები, გამოქვაბულთა კომპლექსები, შუა საუკუნეები.*

## **Abstract**

From the XX century there were discovered countless historic-archaeological monuments structured in the rock in the complexes of valley of the river Khrami in Kvemo Kartli: rock monuments of Nakhiduri, cave complexes of Tavgurala, Muguti caves, the cave complexes of Samshvilde, the rock monuments of Zurtaketi valley, the rock monuments of The river Mashavera valley and so on. In several cave complexes there were discovered certain types of archaeological-ethnographic home appliances. The most of them are almost studied on the archaeological level, however, for the future, it would be reasonable to confirm their function and purpose of use also with the ethnographic deciding. I have presented in my work published and not published typical description and dating of home appliances according to the fabrics, glass and coins also discovered in these layers. At the beginning of the work it is also presented the Historic-geographic condition of Ktsiis ravine and settlements in its valley according to remaining sources. In the rest chapters I refer to the results of archaeological researches of Nakhiduri and Muguti caves. These given sources, which were discovered in these complexes varies from the earliest to the latest middle centuries really represents the important ethnographic procurement. I plan to make maximum parallels to other Georgian appliances and state their exact purpose of use.

***Keywords:*** *Kvemo kartli, rock-out monuments, etnological-archaeological objects, Nakhiduri place , Muguti cave , cave complex , middle age century.*